- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კომპანიებში მენეჯმენტის საშუალო და უმაღლეს რგოლში, წამოიწყოს და უხელმძღვანელოს საკუთარ ბიზნეს ან დაიკავოს მაღალი მენეჯერული პოზიციები საჯარო სექტორში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე

მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან როგორც სამეცნიერო, ისე აკადემიური კუთხით.

გარდა ადგილობრივი ადამიანური რესურსისა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას

მიიღებენ ფრესენიუსის უნივერსიტეტის ის პროფესორები, რომლებიც ჩართულია არიან აღნიშნული პროგრამის გერმანიაში განხორციელების პროცესში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და ფრესენიუსის უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. კერძოდ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), ორი კომპიუტერული რესურს- ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), საკონფერენციო დარბაზი, აუდიტორიები. სასწავლო გარემო კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაბამის პირობებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

პროგრამის	შალვა მაჭავარიანი, პროფესორი, s.machavariani@eeu.edu.ge ;
ხელმძღვანელ(ებ)ი:	რიჩარდ კარლ გეიბელი, საპატიო პროფესორი, geibel@ecommerceinstitut.de ;

საკონტაქტო პირი: შალვა მაჭავარიანი, პროფესორი, s.machavariani@eeu.edu.ge;

რიჩარდ გეიბელი, პროფესორი, Geibel@hs-fresenius.de

ადამიანური რესურსების მართვა

პროგრამის სახელწოდება: ადამიანური რესურსების მართვა / Human Resources Management

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: ბიზნესის და ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი / Master of Human Resources Management

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ლილი ბიბილაშვილი, ტელ: 577 042122, ელ. მისამართი: lili.bibilashvili@eeu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს.

დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო

სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩაირიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- 1) მოამზადოს თანამედროვე მიდგომებისა და თეორიების სწავლების გზით ისეთი კვალიფიკაციის კადრები, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;

- 2) უზრუნველყოს ერთის მხრივ ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის, შრომითი ურთიერთობების, ორგანიზაციული ქცევისა და მენეჯმენტის კონტექსტში, ხოლო მეორეს მხრივ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;
- 3) მოამზადოს ადამიანური რესურსების მართვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ ისეთი პრაქტიკული უნარები, რაც დაეხმარებათ უზრუნველყონ ორგანიზაციის ბიზნეს მიზნების გათვალისწინებით ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯმენტში.

პროგრამის სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სიღრმისეულად აღწერს ადამიანური რესურსების ბუნებას და კომპლექსურად აფასებს ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობას, როგორც ორგანიზაციის სტრატეგიულ ფუნქციას; 2. ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გამოყენებული პროცესების, მეთოდების, მოდელებისა და იმ თეორიების შესახებ, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციაში დასაქმებულთა მწარმოებლურობის გაზრდისა და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად;
<p>უნარი</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 3. შეძლებს ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ფასეულობის, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ცვლილებათა პროცესის პოლიტიკის შემუშავებას და მართვას; ადამიანური რესურსების წვლილის შეფასებას ორგანიზაციის ეფექტიანობაში; 4. შეძლებს ადამიანური რესურსების დაგეგმვას, რეკრუტირებას და შერჩევას, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, დასაქმებულთა მწარმოებლურობის შეფასებას, შრომის ანაზღაურებისა და კომპენსაციის გეგმის შემუშავებას, პერსონალის მოტივაციის ფაქტორების გამოვლენას და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას; 5. შეძლებს შეიმუშავოს და განახორციელოს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები და პროგრამები, შეაფასოს შრომის შედეგები და უზრუნველყოს სამუშაო ძალის ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და მწარმოებლურობის თანხვედრა ორგანიზაციისა და ინდივიდების მიმდინარე და მომავალ მოთხოვნილებებთან; 6. შეძლებს შეიმუშავოს/შეარჩიოს, განახორციელოს/ადმინისტრირება გაუწიოს და შეაფასოს დასაქმებულთა ჯგუფისათვის კომპენსაციისა და სარგებლიანობის პროგრამები, შექმნას უსაფრთხო და საიმედო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და ორგანიზაციის ფასეულობებთან შესაბამისობას;
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კურსდამთავრებული:</p>

	<p>7. შეძლებს კრიტიკულად შეაფასოს შიდა და გარე ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციულ ცვლილებების პროცესზე, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობაზე ცვლილებების პროცესში; გაანალიზოს, ახსნას და შეადაროს ადამიანური რესურსების მუშაობის პროცესი სხვადასხვა შრომის ბაზრებზე.</p> <p>8. კრიტიკულად გაანალიზოს ადამიანური რესურსების მართვის და შრომითი ურთიერთობის სფეროში არსებული უახლესი ფუნდამენტური და ემპირიული სამეცნიერო ლიტერატურა; დამოუკიდებლად და შემოქმედებითად განახორციელოს სიღრმისეული კვლევა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით; ჩამოაყალიბოს რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური და არგუმენტირებული დასკვნები;</p>
--	---

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული

პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრული პირების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

პროგრამის სტრუქტურა

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (95 ECTS) და სამეცნიერო-კვლევითი (25 ECTS) კომპონენტებისგან. ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო (85 ECTS) და არჩევითი/თავისუფალი (10 ECTS) სასწავლო კურსების სახით.

სასწავლო პრაქტიკა (8 ECTS) ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება. სასწავლო პრაქტიკას სტუდენტი გადის პარტნიორ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პრაქტიკა გაიაროს უშუალოდ უსდ-შიც, უსდ-ის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში.

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (25 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით.

საკონტაქტო პირი: ლილი ბიბილაშვილი ტ. 577042122. Lili.Bibilashvili@eeu.edu.ge

განათლების კვლევები და ადმინისტრირება

პროგრამის სახელწოდება	განათლების კვლევები და ადმინისტრირება Educational Research and Administration
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერების მაგისტრი Master of Education Science მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ასოცირებული პროფესორი გიორგი გახელაძე. საკონტაქტო ინფორმაცია: g.gakheladze@eeu.edu.ge ასოცირებული პროფესორი, ქეთევან აფთარაშვილი, საკონტაქტო ინფორმაცია: K.Aptarashvili@eeu.edu.ge

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზნები

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკონკურენტუნარიანი, მრავალფუნქციური სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მოქმედება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ახასიათებთ: ღრმა, სისტემური, კონცეპტუალური და ინსტრუმენტული ცოდნა განათლების ნებისმიერ საფეხურის (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) კვლევისა და ადმინისტრირების შესახებ;
- გამოუმუშავოს სტუდენტს ინფორმაციული წიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, კვლევისა და ტრანსფორმაციული საგანმანათლებლო ლიდერის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- გამოუმუშავოს სტუდენტს საკუთარი უწყვეტი განათლებისა და სამუშაო გარემოს მართვისთვის აუცილებელი აკადემიურ და პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

9. აღწერს და განიხილავს განათლების თანამედროვე კონცეფციებს, განათლების სისტემის ფუნქციონირების პრინციპებს და მექანიზმებს, ორგანიზაციის მართვისა და ლიდერობის თეორიებს, კვლევისა და გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელების მეთოდებს;
10. ხსნის და განმარტავს განათლების კომპლექსურობას, ინკლუზიურობასა და პროფესიული ეთიკის მნიშვნელობას.
11. შეიმუშავებს და ადმინისტრირებს საგანმანათლებლო და ორგანიზაციული ამოცანების ურთიერთდამაკავშირებელ სტრატეგიას, მართვის დონის შესაბამისად;
12. იკვლევს განათლების მართვის სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებს და, თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე, აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს;
13. მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

სწავლება-სწავლის მეთოდები

- | | |
|---|--|
| <input checked="" type="checkbox"/> ლექცია | <input checked="" type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა |
| <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> სემინარი |
| <input checked="" type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება | <input type="checkbox"/> ელექტრონული სწავლება |
| <input checked="" type="checkbox"/> სხვა | |

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების

პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის

შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესით“ განსაზღვრული პირობების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

განათლების კვლევები და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ქეთევან აფთარაშვილი ტ. 591936777, k.aptarashvili@eeu.edu.ge გიორგი გახელაძე g.gakheladze@eeu.edu.ge

საჯარო მმართველობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა/Public administration

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master of Public Administration

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია, სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტელ.: 577220107, ელ. მისამართი: sofo.chkopoia@eeu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

საჯარო მმართველობა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს, ხოლო ერთი სემესტრის სრული დატვირთვა – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს.

დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60

კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისური ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და წერით გამოცდას (ტესტირებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო პოლიტიკური მმართველობის სტრუქტურის, პროცესის, ფუნქციების, მეთოდების, პრინციპების, სახელმწიფო ხელისუფლების არსის, სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნების, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდების, ხელისუფლების მოქმედების ფარგლების, სახელმწიფო მმართველობის ფორმების, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხების, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაციის, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წესის, სახელმწიფო მექანიზმში სახელმწიფოს მეთაურის ადგილისა და როლის, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპების, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის არსისა და სტრუქტურის, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის თეორიული საფუძვლების, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის კვლევის მეთოდოლოგიის, თანამედროვე მმართველობითი მოდელების, საჯარო მმართველობის რეფორმის მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების, მართვისა და მონიტორინგის მექანიზმების, დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციის პრინციპების, საჯარო მმართველობის ფუნქციების, საქართველოს მთავრობის მართვის ძირითადი პრინციპების, საჯარო მმართველობის საქმიანობის ფორმების, ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ამოცანების, საჯარო მმართველობის კონტროლის სახეების, ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების, ადმინისტრაციული წარმოების სახეების, ელექტრონული მმართველობის პრინციპების, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის სამართლებრივი შედეგების, ასევე აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების, სამეცნიერო კვლევის სახეებისა და მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების შესახებ;

- გამოუმუშავოს საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით განხორციელებელი სიღრმისეული რეფორმების შედეგების შეფასების, საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების ამოცნობისა და გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური საჯარო მმართველობის თაობაზე ახალი, ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის სფეროში უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასების, ასევე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური დასკვნების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე, წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, ასევე საჯარო მმართველობის სფეროში სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების, აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტების დაცვის, ასევე პროფესიული საქმიანობის პროცესში ახალი სტრატეგიული მიდგომებისა და ინოვაციური გზების გამოყენების უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

საჯარო მმართველობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს:

- საჯარო პოლიტიკური მმართველობის სტრუქტურას, პროცესს, ფუნქციებს, მეთოდებს, პრინციპებს, საჯარო მართვის სახელმძღვანელო პრინციპებს, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ამოცანებს, საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს;
- სახელმწიფო ხელისუფლების არსს, სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნებს, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდებს, ხელისუფლების მოქმედების ფარგლებს, სახელმწიფო მმართველობის ფორმებს, სახელმწიფოს ტერიტორიული

მოწყობის საკითხებს, პოლიტიკური რეჟიმის სახეებს, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაციას, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წესს, სახელმწიფო მექანიზმში სახელმწიფოს მეთაურის ადგილსა და როლს, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების წესს;

- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის არსსა და სტრუქტურას, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის თეორიულ საფუძვლებს, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის უახლეს კონცეფციებს, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის კვლევის მეთოდოლოგიას, თანამედროვე მმართველობით მოდელს, მუნიციპალური მენეჯმენტის ფუნქციებს, საჯარო მმართველობის რეფორმის მიზნებს, ამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებს, მართვისა და მონიტორინგის მექანიზმებს;
 - დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ფუნქციებს, საქართველოს მთავრობის მართვის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის საქმიანობის ფორმებს, ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის კონტროლის სახეებსა და მიზნებს, ადმინისტრაციული წარმოების პრინციპებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ელექტრონული მმართველობის პრინციპებს, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის სამართლებრივი შედეგებს;
 - აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, სამეცნიერო კვლევის სახეებსა და მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს;
2. აფასებს საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით განხორციელებული სიღრმისეული რეფორმების შედეგებს, ამოიცნობს საჯარო მმართველობის სანდოობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს და გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური საჯარო მმართველობის თაობაზე შეიმუშავებს ახალ, ორიგინალურ გზებს;
 3. ანალიზებს საჯარო მმართველობის სფეროში უახლეს მეცნიერულ კვლევებს და მმართველობის კონკრეტული სფეროების მოდერნიზაციის, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების ან/და საჯარო მმართველობის ევროპეიზაციის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს;
 4. მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, წერიითი და ზეპირი ფორმით;
 5. ამოიცნობს საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის სფეროში არსებულ რთულ პრობლემებს, საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

6. ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
7. იცავს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტებს, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს ან/და პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს კვლევითი ანდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისას.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია,

ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და

ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი

გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრული პირების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ზვიად როგავა, ტელ. 599252552, z.rogava@eeu.edu.ge

აგრობიზნეს მენეჯმენტი

პროგრამის სახელწოდება: აგრო-ბიზნეს მენეჯმენტი / Agro-Business Management

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: ბიზნესის და ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტი / Master of Agribusiness Management

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს.

დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული

აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში და გამოუმუშავოს:

1. მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
2. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
3. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების და ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
4. დამოუკიდებელი კვლევის უნარი;
5. ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • აჩვენებს აგრო ბიზნესის მართვის, მარკეტინგული ანალიზის, აგრო ბიზნესის შეფასების, ეკონომიკის დინამიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციებისა და მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნას, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; • სისტემურად აღწერს აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზებს.
უნარი	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახდენს აგრო ბიზნესის მართვის სფეროში პრობლემების კომპლექსურ შეფასებას და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას; • ახდენს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აგრო ბიზნესის მართვის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას; • ცვლილების ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებული დასკვნებს, ახდენს აგრო ბიზნესის მართვის სფეროში საკვანძო პრობლემების იდენტიფიცირებას და აყალიბებს მათი გადაჭრის გზებს; • აგრო ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები.
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახდენს აგრო ბიზნესის სფეროში არსებული ღირებულებების ანალიზს, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით აყალიბებს საკუთარ არგუმენტირებულ მოსაზრებებს და თეორიული

	კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს;
--	---

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი

ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრული პირების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების

სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის სტრუქტურა

აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (90 ECTS) და სამეცნიერო-კვლევითი (30 ECTS) კომპონენტებისგან. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო (60 ECTS) და არჩევითი/თავისუფალი (12 ECTS) სასწავლო კურსების სახით. სასწავლო პრაქტიკა (18 ECTS) აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება. სასწავლო პრაქტიკას სტუდენტი გადის პარტნიორ ორგანიზაციებში აგრო-ბიზნესის მიმართულებით. აგრო-ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით.

პროგრამის ხელმძღვანელი: ეკატერინე ზვიადაძე; საკონტაქტო ინფორმაცია: Ekaterine.Zviadadze@eeu.edu.ge

ურბანული დაგეგმარება

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): არქიტექტურის მაგისტრი/Master of Architecture

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის მიზნები:

- მისცეს ცოდნა ურბანული დაგეგმარების სისტემების ძირითადი თავისებურებების, ურბანული დაგეგმარების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებების, გარემოს შენარჩუნება-განვითარების და მასში ეკოლოგიურ, კულტურულ და საზოგადოებრივი ღირებულებების შესახებ;
- გამოუმუშავოს ურბანულ დაგეგმარებაში ცვლილებების, არქიტექტურული ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის, თანამედროვე ნაგებობების ინტეგრირების, ურბანული დაგეგმარების პრაქტიკისა და სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარები;
- მოამზადოს ურბანული დაგეგმარების კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ ისეთი პრაქტიკული უნარები, რაც დაეხმარებათ ურბანული დაგეგმარების სფეროში კვლევის, ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი დამოუკიდებლად ეფექტურად გადაჭრის უნარები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს არქიტექტურის ბაკალავრის ან სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ინგლისური ენის B2 დონეზე სავალდებულო ფლობის მოთხოვნით, რომელიც ჩარიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კლაუზურის) საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობის.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების (კლაუზურის) სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები:

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სისტემურად აღწერს ურბანული დაგეგმარების სფეროს, განმარტავს ქალაქმშენებლობის სფეროში ქალაქის დიზაინისა და ტერიტორიის დაგეგმვის პროცესისათვის აუცილებელ (ქალაქმშენებლობითი ნორმები, მარეგულირებელი დოკუმენტები, და სხვა) პროცესებს; 2. ხსნის გარემოს შენარჩუნებისა და რეაბლიტაციის მიზნით ეკოლოგიურად მდგრადი პროექტების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდებსა და საშუალებებს; 3. აყალიბებს ლანდშაფტური არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის, ასევე ტერიტორიული და ეროვნული დაგეგმარების მნიშვნელოვან საკითხებს და იცის თანამედროვე ურბანულ გარემოში მომსახურების სისტემების ფუნქციური მნიშვნელობა;
<p>უნარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 4. ახდენს შემოქმედებითი მიდგომის დემონსტრირებას, ნოვატორული იდეის პრაქტიკულად განხორციელებას, პრობლემების კომპლექსური შეფასებას და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას; 5. მოქმედებს შესაბამისი კოდექსების, მარეგულირებელი დებულებების და ქალაქმშენებლობითი ნორმების და არქიტექტურული გარემოს გამოყენების წესების საფუძველზე; 6. ახდენს ობიექტის საპროექტო დავალების მომზადებას, ინოვაციურ გადაწყვეტილებათა მიღებას, მოსალოდნელი შედეგების იდენტიფიცირებას და ხელმძღვანელობს ურბანულ პროექტს პროფესიულ სამშენებლო, ფინანსური და სამართლებრივი კონტექსტის (პროექტის დაგეგმარება, პროექტის საორენტაციო ღირებულება, პროექტის მენეჯმენტი, პროექტის ჩაბარების პროცედურა) გათვალისწინებით;
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ol style="list-style-type: none"> 7. დამოუკიდებლად და შემოქმედებითად ანხორციელებს შესასწავლი ურბანული საკითხების კომპლექსურ ანალიზს, შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა ქალაქმშენებლობითი, არქიტექტურული ფასეულობის, ლანდშაფტის, გარემოს დაცვისა და არქიტექტურული მეკვიდრეობის ღირებულებ(აზე)ების დაცვაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, გრაფიკული მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის მეთოდი: მოცემულ თემაზე ლექციის ჩატარება და დავალების ახსნა, არსებული მასალის მოძიება და ანალიზი, საკვლევი ტერიტორიის დათვალიერება კვლევის ჩატარება, ინტერაქტივი, ესკიზებზე მუშაობა და მათი როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად განხილვა, კლაუზურების შესრულება, განხილვა და შეფასება, საკლასო დისკუსია, ესკიზების დამტკიცება შემოქმედებითი პროექტის შესრულება, პრეზენტაცია და თვითშეფასება

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

უზრუნველყოფს დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

უზრუნველყოფს დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა,

დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმას შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ურბანული დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

პროგრამის ხელმძღვანელი: მერაბ ბოლქვაძე
საკონტაქტო ინფორმაცია: 599553420; mer.bolqvadze@yahoo.com

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში / Business Administration in Finance

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: ბიზნესის და ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში /Master of Business Administration in Finance

სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფ. ავთანდილ გაგნიძე, ტელ: 577 565999, ელ.მისამართი: avtandil.gagnidze@eeu.edu.ge;

ასოც. პროფ. თამთა ლეკიშვილი, ტელ: 595 908010, ელ. მისამართი: t.lekishvili@eeu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ერთი კრედიტი გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მოცულობა მთლიანობაში შეადგენს 120 ECTS კრედიტს, ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა - 60 (ECTS) კრედიტს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სასწავლო სემესტრს ანუ 2 აკადემიურ წელს შეადგენს.

დასაშვებია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. ამასთან, დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და ზეპირ გამოცდას (გასაუბრებას) სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (<http://eeu.edu.ge>)

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52¹ მუხლის მე-7 და მე-7¹ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- 4) მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის კადრები, ღრმა და სისტემური ცოდნით ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირების, და კერძოდ ფინანსების სფეროში;

- 5) მოამზადოს ფინანსების ანალიზის და მართვის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით;
- 6) მოამზადოს კურსდამთავრებულები - როგორც მაღალი რგოლის საფინანსო მენეჯერულ პოზიციებზე სამუშაოდ, ისე უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> 8. სიღრმისეულად განმარტავს კომპანიის ფინანსების მართვის და ანალიზის, ბიზნესის და ეკონომიკის დინამიკური განვითარების თანამედროვე კონცეფციებსა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს; 9. სისტემურად აღწერს ბიზნესის ღირებულების მაქსიმიზაციის პროცესში კვლევების ჩატარებისა და მოპოვებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას;
<p>უნარი</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> 10. შეძლებს კომპანიის ბიზნეს საქმიანობის კომპლექსურ შეფასებას ფულადი სახსრების მოძრაობის ზომის, დროისა და რისკის გათვალისწინებით, არსებული პრობლემების იდენტიფიკაციას და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მოძიებას; 11. შეძლებს საინვესტიციო პროცესის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციურ ანალიზს და ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შეფასებას; 12. შეძლებს ბაზრის ცალკეული სეგმენტის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას, კომპანიისათვის ფინანსური მოდელის შემუშავებას, ალტერნატიული ინვესტიციების პოტენციური ღირებულების შეფასებას და ეფექტიანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას;

<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <p>13. შეძლებს ფინანსების სფეროში არსებული პრობლემების ამოცნობისა და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას, საზოგადოებასთან მათ წარდგენას, დებატებში მონაწილეობას, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენას;</p> <p>14. შეძლებს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით კვლევის მეთოდების, კვლევის დაგეგმვის, კვლევითი ნაშრომის სტრუქტურის, სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და დამუშავების პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას და ნაშრომის ტექნიკური სტანდარტისა, ფორმალური და ეთიკური მოთხოვნების დაცვას;</p>
--	--

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ცოდნის მიღებაზე და უნარების გამომუშავებაზე.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და ამ სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერილი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრული პირების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე

მიღებულ შეფასებას.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული საშუალება ექნება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში, სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციაში. ფინანსების მაგისტრს შეუძლია იმუშაოს საფინანსო-საკრედიტო-საგადასახადო-სადაზღვევო სისტემის ყველა რგოლში, სახელმწიფო და კომერციულ ბანკში, საგადასახადო სამსახურში, დაზღვევისა და საბაჟო სფეროს ორგანიზაციებში და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა;
- სამი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა სახის ლიტერატურით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Cambridge Journals Online, Edward Elgar Publishing's journals and development studies eBooks, Heinonline.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა კომპანიასა თუ პროფესიულ კავშირთან, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოუმუშავდეთ პრაქტიკული უნარები.

პროგრამის ადამიანური რესურსები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის

აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (95 ECTS მოცულობით) და სამეცნიერო-კვლევითი (25 ECTS მოცულობით) კომპონენტებისგან. ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო (85 ECTS მოცულობით) და არჩევითი/თავისუფალი (10 ECTS მოცულობით) სასწავლო კურსების სახით.

სასწავლო პრაქტიკა (8 ECTS მოცულობით) ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია სტუდენტის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება. სასწავლო პრაქტიკას სტუდენტი გადის პარტნიორ ორგანიზაციებში ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში მიმართულებით. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პრაქტიკა გაიაროს უშუალოდ უსდ-შიც, უსდ-ის საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში.

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (25 ECTS) წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით.

ორმაგი დიპლომის მიღების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით მიიღონ ვარშავის ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობისათვის აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა პროგრამაზე სწავლების პირველი წელი (2 სემესტრი) დაასრულონ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში და დააგროვონ პროგრამის სასწავლო გეგმით 1-ლი და მე-2 სემესტრში გათვალისწინებული კრედიტები. ხოლო ბოლო სასწავლო წელი (მე-3 და მე-4 სემესტრი) ისწავლონ ვარშავის ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში წინასწარ შეთანხმებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მიმართულებები და ქვემიმართულებები:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი / lower /upper Secondary School Teacher of Georgian Language and Literature
- უცხო ენების მასწავლებელი:
 - ინგლისური ენის მასწავლებელი; / primary and lower /upper Secondary School Teacher of Foreign Languages – Teacher of English

პროგრამის ტიპი: მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის დასრულების სერტიფიკატი:

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული; საბაზო-საშუალო სკოლის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში / Certificate - Teacher Preparation Educational Program graduate; lower /upper Secondary School Teacher of Georgian Language and Literature

სერტიფიკატი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული დაწყებითი და საბაზო-საშუალო სკოლის მასწავლებელი უცხო ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი / Certificate - Teacher Preparation Educational Program graduate; primary and lower /upper Secondary School Teacher of Foreign Languages – Teacher of English

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა კრედიტებით: 60 კრედიტი (ECTS) (1 კრედიტი - 25 საათი)

მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან ისწავლოს:

- **ზოგადი პროფესიული მოდულიდან** - 36 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო და ერთი არჩევითი კურსი);
- **სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან** - 12 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები);

- საგნის სწავლებისა და მეთოდის მოდულიდან - 12 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი:

პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლება: პროგრამა შემუშავდა 2016 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სწავლების ენა: ქართული და ინგლისური (სასწავლო კურსების ნაწილი იკითხება ინგლისურ ენაზე ქართველი და უცხოელი ლექტორების მიერ).

პროგრამის მიზნებია:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის (უცხო ენების მასწავლებლის მიამრთულების შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) მასწავლებელი, რომელსაც ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა, უნარები და პროფესიული მახასიათებლები.

პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ წარჩინებული მასწავლებლის მახასიათებლებთან და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.

სწავლის შედეგები: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

ცოდნა	<ol style="list-style-type: none"> 1. აღწერს და განიხილავს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ თანამედროვე პედაგოგიურ თეორიებს, პრინციპებსა და მეთოდებს; 2. აღწერს და განმარტავს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტებს;
უნარები	<ol style="list-style-type: none"> 3. შეიმუშავებს და ასაბუთებს შესაბამისი საგნის სრულფასოვან კურიკულუმს (გეგმა, მეთოდები, აქტივობები, შეფასება, რესურსები) სწავლის ნებისმიერი წლისათვის; 4. პროფესიული ეთიკის დაცვით წარმართავს საგაკვეთილო პროცესს
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	<ol style="list-style-type: none"> 5. დასაბუთებულად წარმოადგენს საკუთარი პროფესიული განვითარების გეგმას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების კომბინირებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასა და განხორციელებას - ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლას.

კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გამოიყენება:

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ახსნა-განმარტებითი და ინტერაქტიული ლექცია,

დისკუსია/დებატები,

როლური და სიტუაციური თამაშები,

პრეზენტაცია,

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული საპროექტო სწავლება;

შემთხვევის ანალიზი (Case study)

ჯგუფური (collaborative) მუშაობა,

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება,

ევრისტიკული მეთოდი,

პედაგოგიური პრაქტიკაზე დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია;

წყაროებზე მუშაობის მეთოდები;

სააზროვნო დიაგრამებით სწავლება;
უკუკავშირის მეთოდები და სხვა;

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს, ხოლო, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიან მეთოდოლოგიას.

სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების სისტემა: განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა, დასკვნითი პროექტი, რეფერატი/პრეზენტაცია. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) მასწავლებლის პორტფოლიოზე (სასერტიფიკატო ნაშრომი) მუშაობას; ე) სასერტიფიკატო ნაშრომის დაცვას; ვ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიოგი გახელაძე, G.gakheladze@eeu.edu.ge



სადოქტორო პროგრამები

სამართალი/LAW

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/ LAW

უმაღლესი განათლების საფეხური: დოქტორანტურა

ფაკულტეტი: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი/ Doctor of Law

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღანაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ტელ.: 577022233, ელ. მისამართი: dbostoganashvili@eeu.edu.ge

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სამართლის სფეროში საქმიანობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება, ფლობს ინგლისური ენას არანაკლებ B2 დონეზე და წარმატებით ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას.

ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა შეიძლება დადასტურდეს საერთაშორისო სერტიფიკატით (Cambridge ESOL Exams: IELTS – Bands at least 5.5; FCE – at least Grade C; BEC Vantage – at least Grade C; ILEC – Pass with B2; BULATS – 65-69; TOEIC – 715-795; Aptis Test TOEFL: at least 46-49) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს სადოქტორო კვლევითი განაცხადის გადარჩევის ეტაპს და ზეპირ გამოცდას (ინტერვიუს). პროგრამაზე მიღებისათვის აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება სადოქტორო კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის (ინტერვიუს) კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის თანმდევი დოკუმენტია პროგრამაზე მიღების წესი, რომელშიც დეტალურადაა ასახულია პროგრამაზე მიღების პირობები, მიღების პროცედურები, ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს ასევე მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დოქტორანტურაში მიღებას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები მოწესრიგებულია ასევე შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტით“ და იურიდულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“. აღნიშნული აქტები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.eeu.edu.ge.)

პროგრამის მიზნები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების უნარი;

- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით, სამართლის სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი.

სწავლის შედეგები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს, მათ შორის, იურიდიული კვლევის მიზნებს, ამოცანებს, ძირითად ეტაპებს, ძირითად ხერხებს, მოდელებს, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციებს, სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს.
2. შეიმუშავებს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს;
3. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სამართლის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;
4. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;
5. მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;
6. მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით;
7. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, სამართლის სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი/სხვა სასწავლო აქტივობა მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა გაითვალისწინება სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას (შეფასების კომპონენტები). შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი (პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც ასახულია კონკრეტული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. დოქტორანტისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით დაუშვებელია.

შუალედური ან დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს სასწავლო კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით შეფასების მეთოდებშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დოქტორანტს კრედიტი ენიჭება შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში, ასევე, არსებობის შემთხვევაში, შეფასების თითოეულ მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კონკრეტული სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;

- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ასევე წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იგი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
- საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარმოდგენის უფლება, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფით შეფასების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა.

საკონტაქტო პირი: პროფ. დავით ბოსტოლანაშვილი, ტელ. 577241170

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
	Business Administration
სწავლების საფეხური	დოქტორანტურა
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
	Doctor of Business Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.
პროგრამის ხელმძღვანელი	შალვა მაჭავარიანი, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი საკონტაქტო ტელ: 599 111 967, ელ.ფოსტა: s.machavariani@eeu.edu.ge
	ვასილ კიკუტაძე, პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი საკონტაქტო ტელ: 593 250850, ელ.ფოსტა: v.kikutadze@eeu.edu.ge

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზნები

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს კვლევებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებით ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას;
- გამოუმუშაოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების, სამეცნიერო კვლევის აკადემიურად სტრუქტურირების, ლოგიკური მსჯელობისა და არგუმენტირების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგების განზოგადებისა და ახალი ცოდნის გენერაციის უნარი;
- გამოუმუშაოს მმართველობით პრობლემათა იდენტიფიცირებისა და ანალიზის, აგრეთვე პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშაოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის, საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშაოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი.

სწავლის შედეგები

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- (A) აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული საკითხებს, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- (B) კრიტიკულად აანალიზებს არსებულ ცოდნას და ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ხსნის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს;
- (C) იყენებს ახალ ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს, დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ იდეებს;
- (D) მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ და მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით;

(E) იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ასევე პირს, რომელსაც გააჩნია მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სხვა სპეციალობაში და ბიზნესის მართვის გამოცდილება.

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონე. კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას (ტესტირებას) ინგლისურ ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით, აპლიკანტი დარგობრივ მიმღებ კომისიას წარუდგენს სადოქტორო კვლევით განაცხადს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და ბოლო ეტაპზე კანდიდატი გაივლის ზეპირ გამოცდას დარგობრივი კომისიის წინაშე. შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია აფასებს აპლიკანტს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. (იხ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი). დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ შესაბამის ვალიდურ სერტიფიკატს (CERTUS) ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ინგლისურენოვანი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა) დასრულების დამადასტურებელ დიპლომს. ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისური ენის B2 დონის განმსაზღვრელი შიდასაუნივერსიტეტო ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 60 ქულა. ამასთან, უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მათ შორის ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს სადოქტორო კვლევითი განაცხადის გადარჩევის ეტაპს და ზეპირ გამოცდას (ინტერვიუს). პროგრამაზე მიღებისათვის აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება სადოქტორო კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის (ინტერვიუს) კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩარიცხოს ასევე მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დოქტორანტურაში მიღებას, აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები მოწესრიგებულია ასევე შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტით“ და ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“. აღნიშნული აქტები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ისინი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.eeu.edu.ge.)

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი/სხვა სასწავლო აქტივობა მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს

სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა და გათვალისწინებას სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დოქტორანტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ბინზესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას (შეფასების კომპონენტები). შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი (პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც ასახულია კონკრეტული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. დოქტორანტისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით დაუშვებელია.

შუალედური ან დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, ქეისის განხილვა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს სასწავლო კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით შეფასების მეთოდებშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დოქტორანტს კრედიტი ენიჭება შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში, ასევე, არსებობის შემთხვევაში, შეფასების თითოეულ მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კონკრეტული სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ასევე წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იგი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
- საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარმოდგენის უფლება, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფით შეფასების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს ასევე შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ბიზნეს სტრუქტურებში უმაღლესი რანგის მენეჯერის პოზიციაზე, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;

- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა;
- სამი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა სახის ლიტერატურით. დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Cambridge Journals Online, Edward Elgar Publishing's journals and development studies eBooks, Heinonline.

სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოტივირებული შუამდგომლობისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დოქტორანტი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში შესაძლოა დაფინანსდეს უცხოეთში სამეცნიერო კვლევის/კვლევის ნაწილის განსახორციელებლად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა.

სასწავლო კომპონენტი არის ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური დახელოვნება, მისი მომზადება მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებაში.

ბიზნესის ადმინისტრირება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სადოქტორო სემინარის, პროფესორის ასისტენტობის, ასევე სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია მინიმუმ ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადისერტაციო ნაშრომის სახით.

დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაციის გამოქვეყნება.

დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ორი უნდა იყოს გამოქვეყნებული რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN კოდი, ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ვრცელდება

საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

დოქტორანტის მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს სფეროს კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი.

საკონტაქტო პირი: პროფ. შალვა მაჭავარიანი, ტელ. 599111967, s.machavariani@eeu.edu.ge

განათლების მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)

პროგრამის სახელწოდება: განათლების მეცნიერებები/ Education Sciences

სწავლების საფეხური: დოქტორანტურა

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი/Doctor of Education Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტის მოცულობაა 45 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი პოლ გიბსი, დოქტორი

საკონტაქტო ინფ. Tel. +44 (0) 20 8411 6172; e-mail. p.gibbs@mdx.ac.uk

ასოცირებული პროფესორი შალვა ტაბატაძე, დოქტორი

საკონტაქტო ინფ. Tel. +995 (591) 305955; e-mail. Shalva.Tabatadze@eeu.edu.ge

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს განათლების მეცნიერებების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა;
- გამოუმუშავოს განათლების მეცნიერებების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავების, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების, ასევე კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- გამოუმუშავოს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს საუნივერსიტეტო განათლებაში, სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, მონაწილეობის უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით, განათლების მეცნიერებების სფეროში, კვლევის დაგეგმვისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების შემუშავების უნარი.

2. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები)

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- (B) აღწერს თანამედროვე განათლების მეცნიერებების უახლეს მიღწევებსა და კომპლექსურ პრობლემებს, მათ შორის: სამეცნიერო კვლევის ინტელექტუალურ რესურსებს, განათლებისა და სოციალური კვლევის ეთიკის საკითხებს, განათლების ფილოსოფიის კონცეპტუალურ საკითხებს, განათლების შედარებითი სოციოლოგიის უახლოეს მიდგომებს, განათლების სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად ასპექტებს, განათლების პოლიტიკის, სამართლისა და ეთიკის საკითხებს, განათლების უფლების შესახებ განათლების გლობალური პოლიტიკის ძირითად ასპექტებს, შედარებითი განათლების თვისობრივ და რაოდენობრივ მიდგომებს, განათლების სფეროში კონკურენციისა და თანამშრომლობის საკითხებს, საზღვარგარეთის ქვეყნების განათლების სისტემებს, სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს, ასევე სკოლამდელი, სასკოლო ან უმაღლესი განათლების მართვის ძირითად პრინციპებსა და თანამედროვე გამოწვევებს;
- (C) შეიმუშავებს განათლების მეცნიერებების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს;

- (D) კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს განათლების მეცნიერებების სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- (E) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს განათლების მეცნიერებების სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;
- (F) მსჯელობს კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან განათლების მეცნიერებების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და ამ სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ, დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს და გადმოსცემს არსებული ცოდნის ურთიერთკავშირს ახალ ცოდნასთან, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;
- (G) მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლებაში სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით;
- (H) იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, განათლების მეცნიერებების სფეროში ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს და შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.eeu.edu.ge.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ C1 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომლებიც ინგლისური ენის სულ მცირე C1 დონის კომპეტენციას დაადასტურებენ ინგლისური

ენის ცოდნის არანაკლებ C1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (Cambridge ESOL Exams: Cambridge English Scale – 180; IELTS – 6.5; CAE–GradeC; FCE – Grade A; BEC Vantage – Grade A; ILEC –Pass with C1; BULATS - 74; TOEIC – 865; AptisTest; TOEFL: 95; Pearson tests: PTE General level - 4; PTE Academic) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით (CERTUS), რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას მინიმუმ C1 დონეზე.

ინგლისური ენის გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

<ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> ლექცია <input checked="" type="checkbox"/> სემინარი <input checked="" type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება <input checked="" type="checkbox"/> ელექტრონული სწავლება <input checked="" type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა <input checked="" type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა <input checked="" type="checkbox"/> სხვა 	<p>განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.</p> <p>განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი/სხვა სასწავლო აქტივობა მოიცავს თემატიკის შესაბამისი</p>
---	---

სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასა და გათვალისწინება სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის

პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას (შეფასების კომპონენტები). შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი (პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც ასახულია კონკრეტული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. დოქტორანტისთვის კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით დაუშვებელია.

შუალედური ან დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, ქეისის განხილვა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს სასწავლო კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით შეფასების მეთოდებშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დოქტორანტს კრედიტი ენიჭება შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეულ კომპონენტში, ასევე, არსებობის შემთხვევაში, შეფასების თითოეულ მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კონკრეტული სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, დოქტორანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ასევე წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც იგი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
- საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარმოდგენის უფლება, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის უარყოფით შეფასების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა.

10. პროგრამის სტრუქტურა

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი (45 ECTS) და კვლევითი კომპონენტი.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სახით.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით).


დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას. დოქტორანტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განსისაზღვრება „სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ“ ინსტრუქციით.

დისერტაციაზე მუშაობა, ძირითადად, მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. დამოუკიდებელი მუშაობა ხორციელდება კვლევითი საქმიანობის სახით და ძირითადად კონცენტრირებულია მინიმალური ხელშეწყობის პირობებში მეცნიერულ თვითგანვითარებაზე.

დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე, მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაციის გამოქვეყნება. დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ორი უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ორივე პუბლიკაცია უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

11. დამატებითი ინფორმაცია

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მიდლსექსის უნივერსიტეტის (ლონდონი) მხარდაჭერით, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და მიდლსექსის უნივერსიტეტის სპეციალური ხელშეკრულების თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მიდლსექსის უნივერსიტეტის პერსონალი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისთვის მიდლსექსის უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო მასალებზე წვდომა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაიარონ ნებისმიერი მოდული ან ჩაატარონ კვლევა მიდლსექსის უნივერსიტეტში და ამავე დროს ისარგებლონ სპეციალური ფასით.



ერთსაფეხურიანი
პროგრამები

დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	<p>დიპლომირებული მედიკოსი</p> <p>Medical Doctor</p> <p>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და არანაკლებ 360 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში.</p>
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან ინტეგრირებულ უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p>

	<p>დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 წელს ანუ 12 სემესტრს შეადგენს.</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>ნატო ალავეძე</p> <p>ლიზა გოდერძიშვილი</p>

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა დარგის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ, ასევე ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების სფეროში; • გამოუმუშავოს პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევის, კლინიკური შემთხვევის შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარების, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობის, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს პირველადი დახმარებისა და სარეანიმაციო ღონისძიებების გაწევის, მედიკამენტების გამოწერის, ასევე პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი. • გამოუმუშავოს სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების, ასევე პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასების უნარი; • გამოუმუშავოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების, სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენების უნარი;

- გამოუმუშავოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვის, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობის უნარი;
- გამოუმუშავოს საკუთარი პასუხისმგებლობის, ავტონომიურობის, პროფესიონალიზმის, ეთიკის პრინციპების დაცვის, სამეცნიერო კვლევისა და გლობალურ კონტექსტში საქმიანობის უნარები.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

A. აღწერს:

- ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ სტრუქტურას მიკრო-სტრუქტურებიდან დაწყებული დამთავრებული მაკროსტრუქტურებით, ორგანიზმის, მისი სისტემებისა და ორგანოების ფუნქციას, მოლეკულური ბიოლოგიასა და ორგანიზმის ემბრიონულ განვითარებას, ორგანიზმის მეტაბოლიზმს, იმუნური სისტემის ფუნქციასა და თავისებურებებს;
- ადამიანის ორგანიზმის სისტემებისა და ორგანოების ფიზიოლოგიის თავისებურებებს, ადამიანის ქცევის პრინციპებსა და თავისებურებებს, მოტივაციასა და ემოციებს, ემოციის საფუძვლებსა და თეორიებს;
- დაავადების პათოლოგიურ სტრუქტურას, მისი განვითარების მექანიზმებს, ინფექციას, საზღვრავს ორგანიზმის რეაქციას მასზე, ორგანიზმის იმუნიტეტის თავისებურებებსა და მოქმედების მექანიზმებს;
- მედიცინის სხვადასხვა სპეციალობით და ქვესპეციალობით კლინიკური მეცნიერების პრინციპებს, შინაგან დაავადებებს, ქირურგიულ დაავადებებს და ა.შ;
- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიას; სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს; მის მეთოდებსა და საშუალებებს, მტკიცებულების როლს სამედიცინო პრაქტიკაში.
- წამლების გამოწერის პრინციპებს, ანტიბიოტიკების გამოყენებას და მათ მიმართ რეზისტენტობას, წამლების მოქმედების გვერდით მოვლენებს, მათ ურთიერთქმედებას, წამლების მოქმედების მექანიზმებს, ფარმაკოკინეტიკასა და ფარმაკოდინამიკას.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპებს, დაავადებების პრევენციის მექანიზმებს, ცხოვრების სტილს, სწორ კვებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საშუალებებს, დაავადებების სკრინინგისა და ზედამხედველობის მექანიზმებს, უუნარობას, გენდერის საკითხებს ჯანდაცვაში, კულტურისა და ეთიკის გავლენას ჯანდაცვაზე, რესურსების განაწილებასა და ჯანდაცვის მენეჯემენტს, გლობალურ ჯანმრთელობასა და უთანასწორობას.

	<p>B. განსაზღვრავს სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების მნიშვნელობას, პაციენტის უფლებებს, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპებს, ასევე ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.</p>
<p>უნარი</p>	<p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>C. უწევს პაციენტს კონსულტაციას: კრებს ანამნეზს, ატარებს პაციენტის ფიზიკურ გამოკვლევას, ავლენს კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს, ამღვეს პაციენტს განმარტებებსა და რჩევებს, მხარს უჭერს პაციენტს და იცავს მის უფლებებს, აფასებს პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსს;</p> <p>D. აფასებს კლინიკურ შემთხვევას, ნიშნავს გამოკვლევებს, ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს, მსჯელობს დაავადების მართვის გეგმის შესახებ: განსაზღვრავს და აფასებს დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულეს, ნიშნავს შესაბამის გამოკვლევებს და ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას, ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას, განიხილავს დაავადების მართვის გეგმას პაციენტებთან და მათ მომვლელებთან, ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე, მართავს ქრონიკულ დაავადებას;</p> <p>E. უწევს პირველად დახმარებას და უტარებს სარეანიმაციო ღონისძიებებს პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს: ამოიცნობს და აფასებს (DRSABCDE) გადაუდებელ სამედიცინო მდგომარეობას, უწევს ბაზისურ პირველად დახმარებას პაციენტს მისი ასაკობრივი თავისებურებების (ახალშობილი, ბავშვი, ხანდაზმული) გათვალისწინებით, გაიდლაინების შესაბამისად ატარებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ და კარდიოპულმონურ სარეანიმაციო ღონისძიებებს, გაიდლაინების შესაბამისად ატარებს გაფართოებულ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს, გაიდლაინების შესაბამისად უწევს გადაუდებელ დახმარებას პაციენტს ტრავმების დროს;</p> <p>F. გამოწერს მედიკამენტებს: გასაგებად და სწორად გამოწერს მედიკამენტებს ასაკობრივი ასპექტების გათვალისწინებით, უკავშირებს შესაბამის წამლებს კლინიკურ კონტექსტს, განიხილავს მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობას და აფასებს პაციენტისთვის პოტენციურ სარგებელსა და შესაძლო რისკს, მკურნალობს ტკივილსა და დისტრესს, ითვალისწინებს მედიკამენტების თავსებადობას მკურნალობის დანიშვნისას;</p> <p>G. ატარებს პრაქტიკულ პროცედურებს: განსაზღვრავს სასიცოცხლო ნიშნებს: პულსს, სუნთქვას, ტემპერატურას, ზომავს არტერიულ წნევას, გასაზღვრავს სატურაციას, აკეთებს პერიფერიული ვენის ვენპუნქციას, ასევე ინექციას კანქვეშ და კუნთში, შეყავს სამკურნალო საშუალებები ვენაში და იყენებს ინფუზიის მოწყობილობას, დგამს პერიფერიულ ვენაში კათეტერს, ახდენს პაციენტების ტრანსპორტირებას და შესაბამისად ეპყრობა მათ, ახდენს პაციენტისათვის სისხლის გადასხმასა და ჟანგბადის მიწოდებას, ამუშავებს ჭრილობას და ადებს ნახევს, ადებს და ხსნის ნაკერს, აკეთებს შარდის ბუშტის კათეტერიზაციას და შარდის ანალიზს, იღებს ელექტროკარდიოგრამას და ახდენს</p>

ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაციას, ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს, იყენებს საინჰალაციო მედიკამენტებს;

- H. ახდენს ეფექტურ კომუნიკაციას სამედიცინო კონტექსტში: აწარმოებს ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას, მათ შორის დამხმარე პირის საშუალებით, პაციენტთან, მის ნათესავებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, კოლეგებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, მასმედიასთან, ასევე ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა, არჩევს კომუნიკაციურ მოდელს ადრესატისთვის უსიამოვნო ამბების შეტყობინებისას, ასევე პაციენტის ან მის კანონიერი წარმომადგენლისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღებისას, განმუხტავს კოლეგებსა და/ან სხვა მესამე პირებს შორის არსებულ კონფლიქტებს მოლაპარაკების გზით;
- I. იყენებს ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკაში: იცავს პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, იცავს საექიმო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმებს და პაციენტის ინტერესებს, იღებს პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლისაგან ინფორმირებულ, მათ შორის წერილობით თანხმობას სამედიცინო მომსახურების გაწევამდე, ავსებს და გასცემს გარდაცვალების თაობაზე – სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის ფორმებს, ითხოვს აუტოფსიას (გვამის გაკვეთას სიკვდილის მიზეზის დასადგენად ან სამეცნიერო მიზნით) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას პაციენტის მკურნალობისას, წარმართავს სამედიცინო საქმიანობას მულტიკულტურულ საზოგადოებაში;
- J. აფასებს პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს: აფასებს დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს, ახდენს პაციენტის ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების იდენტიფიცირებას;
- K. იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრინციპებს, უნარებსა და ცოდნას: იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს პრაქტიკაში, განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს, კრიტიკულად აფასებს კვლევის პროცესში გამოქვეყნებულ თანამედროვე ლიტერატურას და უახლეს მეცნიერულ კვლევებს, შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს და იყენებს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში;
- L. ეფექტურად იყენებს ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო კონტექსტში: სწორად აწარმოებს და სრულად ინახავს კლინიკურ ჩანაწერებს, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს პრაქტიკულ საქმიანობაში, მოიძიებს დარგის სპეციფიკურ საინფორმაციო რესურსებს, ინახავს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის პირად ჩანაწერებს (პორტფოლიო);
- M. იყენებს სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპებს, მეთოდებსა და ცოდნას: ავლენს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნას, შეიმუშავებს კვლევის დიზაინსა და კვლევის დეტალურ გეგმას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის

	<p>დასკვნებს, პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევებს, კრიტიკულად აანალიზებს ბიომედიცინის სფეროში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და წერს რეფერატს/მიმოხილვას/კვლევით პროექტს;</p> <p>N. მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში, ერთვება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში, ავლენს ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობის უნარს: ატარებს მკურნალობას, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი, ატარებს ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებს, აცნობიერებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით აფასებს საკუთარ ჯანმრთელობას, მონაწილეობს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>O. იცავს ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის ნორმებს, გამოხატავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და მუდმივი პროფესიული სრულყოფისაკენ სწრაფვის მზაობას, აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს გადაწყვეტილებებს, შეუძლია პრობლემების გადაჭრა, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, ნახულობს გამოსავალს არაპროგნოზირებადი სიტუაციებიდან და შეუძლია ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია, იცავს ინტერპერსონალური კომუნიკაციის ნორმებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ეხმარება სხვებს სწავლაში და პრაქტიკულ საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს სხვებისგან დახმარებას, იცავს გუნდური მუშაობის ძირითად პრინციპებს და მონაწილეობს მულტიდისციპლინურ გუნდში;</p> <p>P. ავტონომიურად მოიძიებს სხვადასხვა წყაროებიდან უახლეს ინფორმაციას, აანალიზებს პირველად მონაცემებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლას, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით, გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული და პროფესიული ღირებულებებისადმი, საქმიანობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებითა და კულტურების მრავალფეროვნების პატივისცემით.</p>

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	
<p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა და ინგლისურ ენაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 85%+1.</p>	

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება გააჩნია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ALTE B2 დონეზე ფლობას, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესის შესაბამისად.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს მოქალაქეების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

- ლექცია
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სხვა

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევასას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა,

	<p>სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.</p> <p>ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching), კლინიკური აზროვნება (CBCR). შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთხაზოვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.</p>
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>სწავლება-სწავლის მეთოდები და გამოსაყენებელი აქტივობები</p>
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ლექცია; <input type="checkbox"/> სემინარი; <input type="checkbox"/> კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL); <input type="checkbox"/> პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); <input type="checkbox"/> ჯგუფური მუშაობა; <input type="checkbox"/> ტუტორიალი; <input type="checkbox"/> საუნივერსიტეტო/სასწავლო დაწესებულებებში კლინიკური როტაციები; <input type="checkbox"/> ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching); <input type="checkbox"/> როლური თამაში; <input type="checkbox"/> პაციენტებთან კომუნიკაცია; <input type="checkbox"/> წიგნზე მუშაობა; <input type="checkbox"/> წერიტი მუშაობა; <input type="checkbox"/> ვერბალური ახსნა-განმარტება; <input type="checkbox"/> დემონსტრირება; <input type="checkbox"/> დამოუკიდებელი სწავლა; <input type="checkbox"/> ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი.
<p>უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ლექცია; <input type="checkbox"/> სემინარი; <input type="checkbox"/> ტუტორიალი;

	<ul style="list-style-type: none"> □ პრაქტიკული მუშაობა; □ ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside-teaching); □ ანალიზი, სინთეზი; □ გონებრივი იერიში (Brain storming); □ გუნდური (collaborative) მუშაობა, მათ შორის სარეანიმაციო მანევრებთან; □ დისკუსია/დებატები; □ ევრისტიკული მეთოდი; □ კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში სწავლება; □ კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება; □ კლინიკური აზროვნება (CBCR); □ კლინიკური როტაციები; □ კლინიკური უნარების სწავლება სიმულაციურ ცენტრში ან შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში; □ პაციენტებთან (ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან) კომუნიკაცია; □ პრაქტიკული მეთოდები, მათ შორის პრაქტიკული დავალებები ზედამხედველობის ქვეშ; □ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); □ პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა). □ როლური და სიტუაციური თამაშები, მათ შორის ექიმისა და პაციენტის როლების შესრულება; □ სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან პრაქტიკა; □ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით); □ სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა; □ სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლება; □ სასწავლო ვიდეოფილმები; □ სცენარებზე დაფუძნებული სიმულაციური სწავლება; □ სწავლება სიმულატორების გამოყენებით; □ სწავლება სტანდარტიზებულ პაციენტების მეშვეობით; □ შემთხვევის ანალიზი (Case study).
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ul style="list-style-type: none"> □ სემინარი; □ ტუტორიალი; □ სასწავლო ვიდეოფილმები; □ დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დისკუსია-დებატები, სადაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები.
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლება;
- კლინიკური აზროვნება (CBCR);
- სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან პრაქტიკა;
- კლინიკური როტაციები.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, კვლევითი ნაშრომი/პროექტი და სხვ.).

დასკვნითი შეფასების ფარგლებში სტუდენტის მიერ შექმნილი კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ჩამოყალიბებული კლინიკური კომპეტენციების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ახალი და ეფექტური მეთოდი - **ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)**, რომელიც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტადაა აღიარებული. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას სტუდენტები ასრულებენ დავალებებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროცედურებს, ინტერვიუების მეთოდებს ან მონაცემთა ინტერპრეტაციას. პრეკლინიკური კურსების ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)**, რაც თეორიული, პრაქტიკული და პრობლემების გადაჭრის უნარების შეფასების ობიექტური ინსტრუმენტია. გამოცდის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა ამოიცნონ და აღწერონ ანატომიური, ჰისტოლოგიური ნიმუშები, რადიოლოგიური გამოსახულებები.

შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ერთპასუხიანი ან მრავალპასუხიანი ტესტი, ესსე, პორტფოლიო, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, კლინიკური შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული პროცედურის შესრულება, პირდაპირი დაკვირვება, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად ასევე გამოიყენება ქვიზი, რომელიც სწრაფი შეფასების მეთოდია და რომლის მეშვეობით დგინდება/იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება ტესტების, თეორიული საკითხების, ალტერნატიული არჩევანის (სწორია/არასწორია), მოკლე პასუხის ტიპის შეკითხვების, სავარჯიშოების, სიტუაციური ანალიზის და პრობლემების ანალიზისაგან.

შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი	91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	81-90 ქულა;
(C) კარგი	71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	61-70 ქულა;
(E) საკმარისი	51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა	41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
------------------	--

(F) ჩაიჭრა

40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს უმცროს ექიმად და შეასრულოს ექიმის ფუნქცია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს დაკავდეს პედაგოგიური და/ან სამეცნიერო საქმიანობით ან დასაქმდეს ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რაც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება არა აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა.

სწავლის გაგრძელების საშუალება

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს გაიაროს უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების კურსი (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტური პროფესიული პროგრამა, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;

- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა;
- სამი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოიყენება კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედის:

- სიმულაციური ლაბორატორია;
- ანატომიის კაბინეტი;
- ქიმიისა და ბიოქიმიის ლაბორატორია;
- მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;
- ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორია;
- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) სადგურები.

პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია ინგლისურენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდიც. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა სახის ლიტერატურით.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: Cambridge Journals Online, The New England Journal of Medicine, Edward Elgar Publishing's journals and development studies eBooks, Sage Journals, e-Duke Journals Scholarly Collection, Royal Society Journals Collection, The European Respiratory Journal, Vitae, ELSEVIER.

პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს ავილირებულ კლინიკებთან. კლინიკური სასწავლო კურსები ხორციელდება შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე:

- შპს აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი,
- სსიპ ივანე ბერეტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი,
- შპს თბილისის ცენტრალური სავადმყოფო,
- შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა,
- შპს მედიკლაბ ჯორჯია,

- შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა,
- შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა,
- შპს მარდალეიშვილის კლინიკა,
- სს კ. ერისთვის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი,
- შპს საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა - გიდმედი,
- შპს ახალი მზერა,
- სს ჩაჩავას კლინიკა.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საგანმანათლებლო პროგრამის დანართში და სასწავლო კურსის სილაბუსებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ითვალისწინებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას და შეესაბამება ჰარდენის შკალის VII-VIII დონეს. პროგრამაში გამოყენებულია სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები. ლექციები ინტერაქტიულია, სემინარებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), კლინიკური და პროფესიული უნარების შეფასება ხდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE). ცოდნის შეფასება ხდება დახურული და ღია კითხვებით, შემთხვევის ანალიზითა და შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრული სხვა რელევანტური შეფასების მეთოდებით.

პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტები ინტეგრირებული ფორმატით სწავლობენ ბიოსამედიცინო სასწავლო კურსებს: „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები“ - უჯრედული ბიოლოგია (ინტეგრირებული ბიოქიმიასთან), მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა, „ორგანიზმის სისტემები“ (ინტეგრირებული მოდულები: ანატომია-ჰისტოლოგია-რადიოლოგია), „ორგანიზმის ფუნქცია“ (ინტეგრირებული მოდულები: ფიზიოლოგია-ბიოქიმია), იმუნოლოგია.

მესამე სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია პრეკლინიკური ინტეგრირებული კურსები: პათოლოგია (ინტეგრირებული ფარმაკოლოგიასთან), მიკრობიოლოგია (ინტეგრირებული ფარმაკოლოგიასთან და იმუნოლოგიასთან), დიაგნოსტიკის მეთოდები (ინტეგრირებული კურსები: ფიზიკური დიაგნოსტიკა, რადიოლოგია და ლაბორატორიული მედიცინა).

მეოთხე და მეხუთე სასწავლო წლის კლინიკური კურსები ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, ჰოსპიტალი და სხვა) კლინიკური როტაციების ფორმატით. შინაგანი მედიცინისა და ქირურგიის კურსები ინტეგრირებულია ორგანიზმის სისტემებისა და შესაბამისი თემატიკების მიხედვით: შინაგანი მედიცინა I (კარდიოვასკულარული და პულმონარული სისტემები) და ქირურგია II (გულმკერდის ქირურგია); შინაგანი მედიცინა II (საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემები, მეტაბოლიზმი) და ქირურგია III (მუცლის ღრუს ორგანოები); შინაგანი მედიცინა III (უროგენიტალური სისტემა) და ქირურგია V (უროლოგია) და ა.შ. სტუდენტები ჩართულნი არიან კლინიკური პრობლემების გადაჭრის პროცესში და გამოიმუშავენ ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარებს, ასევე მათ პრაქტიკაში გამოყენებას.

მეექვსე სასწავლო წელს სტაციონარულ და ამბულატორიულ დაწესებულებებში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური საქმიანობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს (თეორიული და პრაქტიკული კურსები): საოჯახო მედიცინა, რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა, გერიატრია, პალიატიური მედიცინა, გადაუდებელი მედიცინა, კლინიკური ფარმაკოლოგია და სხვა.

კლინიკური და პროფესიული უნარების კურსები ისწავლება 10 სემესტრის განმავლობაში. ამ სასწავლო კურსების ფარგლებში განხილული საკითხები შესაბამისობაშია სემესტრების მიხედვით განსაზღვრულ ბიოსამედიცინო და კლინიკური სასწავლო კურსების თემატიკებთან. ერთი და იგივე აქტივობით სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე (გაგება, გაღრმავება, განმტკიცება).

პირველივე სასწავლო წლიდან ყოველი სემესტრის კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ინტეგრირებულად ფასდება OSCE-ით, OSCE სადგურებზე გამოყენებულია მანეკენები, მულაჟები და სტანდარტიზებული პაციენტები.

პროგრამის სასწავლო კურსები ჯანდაცვის მიმართულებით მოიცავს შემდეგ საკითხებს და მიმართულებებს: კულტურა, გენდერი, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, დაავადებების პრევენცია, სამედიცინო სოციოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ხარისხის მართვა, გლობალური ჯანდაცვა და მდგრადობა, და ა.შ.

პროგრამა უზრუნველყოფს კვლევითი უნარების გამომუშავებას, ასწავლის კვლევის პრინციპებსა და მეთოდებს (კვლევითი უნარები I), კვლევის ინსტრუმენტებს (ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა (კვლევითი უნარები II); მტკიცებით მედიცინას (კვლევითი უნარები III)), ასევე, უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის გამოყენებას (კვლევის უნარები IV), რაც გულისხმობს XII სემესტრში სტუდენტის მიერ პროექტის შემუშავებას.

მედიცინის საფუძვლების სასწავლო კურსებში გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE). კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსები ტარდება სიმულაციურ ლაბორატორიაში და სრულდება OSCE-ით.

